



„დამტკიცებულია“
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)
2018 წლის „14“ თებერვალი „01“ სხდომის
01-06-02„/06 “ დადგენილებით

საგეგმო-საფინანსო დეპარტამენტის
დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგეგმო-საფინანსო დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) მიზანს, ფუნქციებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.
2. დეპარტამენტი წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ადმინისტრაციის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. დეპარტამენტის ფუნქციები და ამოცანები

1. დეპარტამენტის ფუნქციებია:
 - 1.1. ბიუჯეტის კოორდინირება, მის დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება, აღრიცხვის წარმოება, ხარჯებისა და შემოსავლების ბიუჯეტით გათვალისწინებულ პარამეტრებთან შესაბამისობის კონტროლი;
 - 1.2. ბიუჯეტური (სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები) და ეკონომიკური საქმიანობის (ფასიანი სწავლება, სამეცნიერო-სახელშეკრულებო თემატიკა, იჯარა და სამეურნეო ობიექტები) ხარჯთაღრიცხვების შედგენა;
 - 1.3. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების საფინანსო-სამეურნეო მონიტორინგი (დამტკიცებული ბიუჯეტის ცვლილება ფაქულტეტების ჭრილში; შესყიდვების გეგმასთან ბიუჯეტის ცვლილების შესაბამისობა) და შედეგების შესწავლა;
 - 1.4. აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, ასევე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საშტატო განრიგის შედგენაში მონაწილეობის მიღება და კონტროლი;
 - 1.5. უნივერსიტეტში ფინანსური რეგულაციების სწორად და სრულად დანერგვის უზრუნველყოფა;
 - 1.6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან მიღებული დაფინანსების (სამეცნიერო გრანტები) ხარჯთაღრიცხვების მომზადების უზრუნველყოფა და შემდგომში მათი მიზნობრივად ხარჯვის კონტროლი;
 - 1.7. საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების ხარჯთაღრიცხვების მომზადება, მიმდინარე, კვარტალური და წლიური სტატისტიკური ფორმების გეგმიური ნაწილის შედგენა;

- 1.8. დამტკიცებული სამტატო განრიგების მიხედვით თანამშრომელთა მოძრაობის კონტროლის უზრუნველყოფა;
- 1.9. წლიური და კვარტალური საბუღალტრო ბალანსის ფორმების გეგმიური ნაწილის შედგენაში მონაწილეობა;
- 1.10. ფინანსების რაციონალური, ეფექტური და მიზნობრივი ხარჯვის წინადადებების შემუშავება და დანერგვა;
- 1.11. ხელმძღვანელი და სხვა სტრუქტურული ორგანიზაციებიდან მიღებული წერილების გაცნობა და დამუშავება;
- 1.12. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში საფინანსო-სამეურნეო მონიტორინგის დაწესება და შედეგების შესწავლა;
- 1.13. მიმდინარე საკითხების განხილვა და დამუშავება.

მუხლი 3. დეპარტამენტის სტრუქტურა

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი.
2. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს მოადგილე/მოადგილეები, რომელთა უფლებამოსილებები განისაზღვრება თანამდებობრივი ინსტრუქციებით.
3. დეპარტამენტში სპეციალისტების რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ დამტკიცებული სტრუქტურის შესაბამისად.
3. დეპარტამენტის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
4. დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) წინაშე.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. დებულება ძალაშია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.
2. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან/და დეპარტამენტის ლიკვიდაციის შემთხვევაში.